

*შპს თიკო 448388717*

*ფინანსური ანგარიშგება*

*2023 წლის 31 დეკემბრით*

*დასრულებული წლისათვის*

## შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. სრული შემოსავლების ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

# შპს „თიკო“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2023წ

## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                       | 31/12/2023 | 31/12/2022<br>2 | 31/12/2022<br>1 |
|-------------------------------------------------------------|------------|-----------------|-----------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 53309      | 443175          | 350696          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 96011      | 376415          | 791984          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 0          | 0               | 5260            |
| მარაგები                                                    | 7242       | 1364924         | 1958517         |
| მზა პროდუქცია                                               | 0          | 1364924         | 1958517         |
| სხვა                                                        | 7242       | 0               | 0               |
| საინვესტიციო ქონება                                         | 0          | 0               | 0               |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 0          | 3301            | 12309           |
| ბიოლოგიური აქტივები                                         | 0          | 0               | 0               |
| თვითღირებულების მოდელით                                     | 0          | 0               | 0               |
| გადაფასების მოდელით                                         | 0          | 0               | 0               |
| გუდვილი                                                     | 0          | 0               | 0               |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 0          | 0               | 0               |
| ძირითადი საშუალებები                                        | 4095940    | 3064430         | 1984983         |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                           | 0          | 0               | 0               |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში         | 0          | 0               | 0               |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                  | 0          | 0               | 0               |
| სულ აქტივები                                                | 4252502    | 5252245         | 5103749         |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |            |                 |                 |
| საიჯარო ვალდებულება                                         | 0          | 0               | 0               |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 32256      | 680269          | 1609541         |
| ანარიცხები                                                  | 0          | 0               | 0               |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 0          | 0               | 0               |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 32894      | 74367           | 0               |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                  | 0          | 0               | 0               |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                             | 0          | 107888          | 117660          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                             | 943544     | 947964          | 1210439         |
| მიღებული გრანტები                                           | 0          | 0               | 0               |
| სხვა ვალდებულებები                                          | 0          | 0               | 108             |
| სულ ვალდებულებები                                           | 1008694    | 1810488         | 2937748         |

### საკუთარი კაპიტალი

|                                                                                                |         |         |         |
|------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0       | 0       | 0       |
| საემისიო შემოსავალი                                                                            | 0       | 0       | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                   | 0       | 0       | 0       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                      | 3243808 | 3441757 | 2166001 |
| გადაფასების რეზერვი                                                                            | 0       | 0       | 0       |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                           | 0       | 0       | 0       |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                          | 3243808 | 3441757 | 2166001 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                         | 4252502 | 5252245 | 5103749 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                      | 156562  | 2187815 | 3113398 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                                 | 65150   | 862524  | 1721940 |



# შპს „თიკო“-ს სრული შემოსავლების ანგარიშგება

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                                       | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|------------------------------------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები                                             | 6893280    | 45521155   |
| საქონლის გაყიდვიდან                                        | 6230373    | 44983301   |
| მომსახურების გაწევიდან                                     | 662907     | 537854     |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                               | 0          | 0          |
| სხვა                                                       | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                  | -5951762   | -43017894  |
| საწყისი მარაგები                                           | 0          | 0          |
| მარაგების შესყიდვა                                         | 0          | 0          |
| გადამუშავების დანახარჯები                                  | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები                                           | 0          | 0          |
| საერთო მოგება                                              | 941518     | 2503261    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                 | 10240      | 318        |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                   | -129061    | -329177    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                 | -212801    | -155686    |
| საპროცენტო შემოსავალი                                      | 0          | 0          |
| საპროცენტო ხარჯი                                           | -49069     | -66403     |
| იჯარის ხარჯი                                               | -500       | -24000     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                   | -228214    | -336598    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                     | -609405    | -911546    |
| საოპერაციო მოგება                                          | 332113     | 1591715    |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                     |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა         | 0          | 0          |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                   | 0          | 0          |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0          | 0          |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით            | 0          | 0          |
| მიღებული დივიდენდები                                       | 0          | 0          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                    | 0          | 193277     |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი | 332113     | 1784992    |
| ოპერაციებიდან                                              | -53258     | -76386     |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                  | 278855     | 1708606    |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                     |            |            |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                   |            |            |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)    |            |            |
| გადაფასების რეზერვი                                        | 0          | 0          |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე                | 0          | 0          |

|                                                                 |         |         |
|-----------------------------------------------------------------|---------|---------|
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                          | 0       | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                             | 278855  | 1708606 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში             | 3441757 | 2166001 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', | 0       | 0       |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                  | -476804 | -430000 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                           | 0       | -2850   |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                       | 0       | 0       |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                  | 3243808 | 3441757 |

## შპს „თიკო“-ს კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

31.12.2023ლარი

|                                                   |                |
|---------------------------------------------------|----------------|
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი                  | <b>3441757</b> |
| კაპიტალის გაზრდა                                  | <b>278855</b>  |
| განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)              | (476804)       |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში             | (0)            |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                         | 0              |
| <b>კაპიტალის ნაშთი 31/12/2023-ის მდგომარეობით</b> | <b>3243808</b> |

## **ზოგადი ინფორმაცია**

შპს „თიკო“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 21 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 448388717. კომპანიის იურიდიული მისამართია ბათუმი ლეონიძის #2 და საქმიანობის ფაქტობრივი მისამართია ბათუმი ხახულის II შესახვევი #1.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საკვები პროდუქტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. შპს „თიკო“ საქართველოს ბაზარზე ახორციელებდა პროდუქციის შეძენას და ისევ ადგილობრივ ბაზარზე ახდენდა მის რეალიზაციას. მაგრამ 2023 წლის მარტიდან კომპანიამ დაიწყო საკუთარი ქონების იჯარით გაცემის მომსახურების გაწევა და ვაჭრობის საქმიანობა შეაჩერა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია მადლენა ფუტყარაძე (პ/ნ 61006034947). კომპანიის დირექტორია როინ აბაშიძე (პ/ნ 61009002617). კომპანია 2023 წლის განმავლობაში იყენებდა საშუალოდ 7 თანამშრომელს (დირექტორი, ბუღალტერი ოპერატორები, მძღოლები და საწყობის თანამშრომლები).

## **მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიას შვილობილი საწარმო არ გააჩნია.

## **ძირითადი საშუალებები**

### **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. ძირითად საშუალებებს ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად.

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 10-20 წელი                           |
| მანქანა დანადგარები        | -                                    |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი                             |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5-7 წელი                             |
| სატრანსპორტო საშუალებები   | 5-7 წელი                             |

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## იჯარა

კომპანია სამეურნეო ოპერაციებისათვის იყენებს ფიზიკური პირისგან იჯარით აღებულ ფართს,რომელიც კლასიფიცირდება საოპერაციო(ჩვეულებრივი) იჯარად.ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, ტრანსპორტირების,დატვირთვის და სხვა ნებისმიერ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. კომპანია მარაგების თვითღირებულების გამოსათვლელად იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

## სავაჭრო მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება მოკლევადიანი ანაზღაურების პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს,რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი.იმ შემთხვევაში,თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს,გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

## სავაჭრო ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისათვის გადასახდელი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადაც ერთ წელზე მეტია კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

## სასესხო ვალდებულება და ოვერდრაფტები

კომპანიის გააჩნია სასესხო ვალდებულება კომერციული ბანკისაგან უცხოურ ვალუტაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 943544 ლარი (96000 გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი და 847544 გრძელვადიანი) ფინანსური ინსტიტუტების მიმართ.

## ამონაგები

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედო შეფასება შესაძლებელია. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

## ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება, თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთალი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31 დეკემბერი 2023

|                                |        |
|--------------------------------|--------|
| შრომის ანაზღაურება             | 129061 |
| ცვეთა                          | 212800 |
| საიჯარო ქირა                   | 500    |
| ტრანსპ. მიწოდ. ხარჯი           | 2425   |
| ავტომანქანების მიმდინარე ხარჯი | 22327  |
| ქონების გადასახადი             | 32800  |
| საპენსიო ფონდი 2%              | 2983   |
| კომუნიკაციის ხარჯები           | 535    |
| ბანკის ხარჯი                   | 1734   |
| სესხის ხარჯი                   | 49069  |
| საკანცელარიო ხარჯი             | 628    |
| საწვავის ხარჯი                 | 39120  |
| კომუნალური ხარჯი               | 114024 |
| მივლინების ხარჯი               | 5791   |
| მოგების გადასახადი             | 53258  |

|               |        |
|---------------|--------|
| კომპიუტ ხარჯი | 520    |
| სხვა          | 5325   |
| სულ           | 672904 |

## სახელფასო განაცემები

შრომის ანაზღაურება(ხელფასი), ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის, კერძოდ მოგების განაწილების ე.წ. ესტონური მოდელით.

## ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია  
2024 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი:

როინ აბაშიძე

ბუღალტერი:

ირაკლი მამულაძე

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია  
2024 წლის 25 სექტემბერს


დირექტორი:



როინ აბაშიძე



ბუღალტერი:



ირაკლი მამულაძე

როინ აბაშიძე

ირაკლი მამულაძე

როინ აბაშიძე